# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 51 შაბათი, 6 მარტი 1910 წ. № 51

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ფიქი ვანქის ქ. N 42.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


სალომე კონსტანტინეს ასული ჭიჭინაძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის

სერგეი კონსტანტინეს ძის ჭიჭინაძისას.

პანაშვიდი დღეს, 6 მარტს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში კობის შესახვევში (წყნეთის ქუჩით), გამოსვენება 7 მარტს დილის 9 საათ., ვერის წმ. ნიკ. ეკკლესიაში, სადაც იქნება დაკრძალვა. (2—171—1)

ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 7 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

სულის მოსახსენებლად, შუადღის 12 საათზე. (2—1)

გამოუთქმელ მწუხარებასა შინა მყოფნი ნინო მიხეილის ასული გიორგობიანისა, თამარ და კოზმან გიორგობიანები, ელისაბედ ოქროპირის ასული ჩხეტიასი, სუსანა იოსების ასული, კოზმან და ერმილე იოსების ძენი გიორგობიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს მეუღლის, მეორენი—საყვარელ მამის, მესამე—უძვირფასეს სიძის და უკანასკნელნი—დაუვიწყარ ძმის

თეიმურაზ (იგივე თომა) იოსების ძის გიორგობიანისას.

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, არქიელის გორაზე, საკუთარ სახლიდან. (2—კვ.—2)


## ქართული თეატრი

გამოსათხოვარი წარმოდგენა

სამშაბათს, 9 მარტს, 1910 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქ. ვილ. შექსპირისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, პოლონიუსისას—კ. მესხი, ოფელიასას—მარო მდივანი, ლაერტისას—ზარდალიშვილი, აქტიორისას—ალ. იმედაშვილი.

ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(3—1) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

## სახაზინო თეატრი

სახალხო უნივერსიტეტი

შაბათს, 6 მარტს,

## ლ ე ქ ც ი ა

ექიმ გ. ვ. სობოლევსკისა

„მოგზაურობა შუაგულ აფრიკაში".

ლექციასთან ერთად აჩვენებს სურათებს და ტიპებს

სუდანი და კონგო

(ჩემი შთაბეჭდილებანი). დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები საგრძნობლად დაკლებულია: 20 კ. 2 მ.-დე, მოწაფეთათვის 40 კ. ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში და სამეურნეო საზოგადოებაში. (ნ. 2—2)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—21)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დ. [illegible] ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

მაღალაშვილი გ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე. 9—11 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძუძუთა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—125)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ს.—115)

## ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—დ.—6)

## სახალხო თეატრი ზუბალაშვილებისა

ოთხშაბათს, 31 მარტს, წარმოდგენილი იქნება:

## ბებრის საძღეოლი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

II

## საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი კოლოტოვისა, ბ-ნნი ევლახიშვილი, ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) კოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი სარაჯიშვილი პირველად შეასრულებს ორკესტრით არაყიშვილის ახალ ოპერიდან, „შოთა-რუსთაველიდან" მგოსნის არიას.

ყველა ზემორე ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში

დასაწყის სწორედ 8 საათზედ. (5—ნ.—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—287)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია) (0—74)

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზბეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—42)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—381)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## დ. ქარელში

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესახსამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—10)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—132)

## ექიმი გ. მაბაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 76, სახ. ჭავჭავაძისა. (100—ზალ.—112)

## ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—18)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანის და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: აფხაზის ქუჩა, N 34. (50—ნ.—32

## აგენტების საყურადღებოდ

უმორჩილესად ვთხოვ იმ აგენტებს, რომელთაც დღემდის ანგარიშში არ გაუსწორებიათ,

გაასწორონ 20 ამ თვემდის

ვინც ამ რიცხვამდის ანგარიშს არ გაასწორებს, და გაყიდულ ჟურნალ-გაზეთების ფულს არ გამოგზავნის, მას იძულებული გავხდები ფული სასამართლოს წესით გადავახდევინო.

(3—2100—3) მ. გაჩეჩილაძე.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—2)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

## ფეიქრები

თარ. ივ. ახალშენიშვილის მიერ

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ერთხელ დაიდგა. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილიასთან.

პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія.

კვირას, 7 მარტს,

ავლაბრის აუდიტორიაში

ქ-ნი კანბელაშვილი ქართულად წაიკითხავს

## „იასონის"

შვიდ ბუნდოვან სურათებით. დასაწყისი თერთმეტ საათზე. (3—3)


მნათე (სტაროსტა) წმ. სამების ეკკლესიისა უმორჩილესად სთხოვს მრევლსა ზემოაღნიშნულის ეკკლესიისას, რომ მიბრძანდენ 7 ამა მარტისას, კვირა დღეს, ეკკლესიაში, სადაც უნდა მოხდეს არჩევანი მედავითნისა და იქმნეს ხელმოწერილი არჩევანის ოქმი იმ დღისა, უკეთუ შესდგება კრება.

წმ. სამების ეკკლესიის მნათე (სტაროსტა) გიორგი სიმონის ძე ივანოვი.

4—168—3

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა იხილავს როზბერის წინადადებას ლორდთა პალატის რეორგანიზაციის შესახებ. კერზონმა განაცხადა, ლორდთა პალატის რეფორმა საჭიროა, დროც ხელს უწყობს ამ რეფორმას და იმედია, რომ ლორდები ამ რეფორმას მოახდენენ. უნდა შემოღებულ იქმნეს კანონი, რომლითაც ლორდთა პალატის წევრების ერთი ნაწილი არჩეულ უნდა იქმნეს. ყურადღების ღირსია, რომ კრომერის აზრით ლორთა პალატის რეფორმა ხალხს დაუახლოვებს ზედა პალატას. ლორდ-კანცლერად ნამყოფის ბერნის სიტყვით შეუძლებელია დაწესდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც ინგლისის ტრადიციებს და მოთხოვნილებებს უფრო აკმაყოფილებდეს, სანამ ეხლანდელი ლორდთა პალატა.

**ტოკიო.** გაზეთი „ასარის" თაოსნობით სდგება დედა-მიწის გარეშემო ეკსკურსია. ამ დღეებში 60 ვაჭარი, მრეწველი, ჟურნალისტი და მეცნიერი გაემგზავრება ამერიკასა და ევროპაში და სხვათა შორის დაათვალიერებს პეტერბურგს და მოსკოვს.

**სტამბოლი.** როგორც იყო დამთავრდა ინცინდენტი, რომელიც გამოიწვია პატრიარქმა იოაკიმემ. პატრიარქმა იოაკიმემ უარი განაცხადა, სინოდის წევრებად ამა და ამ ეპისკოპოსებს ვერ დავნიშნავო. ამ ეპისკოპოსებს პატრიარქი კარგის თვალით ვერ უყურებდა. საეკლესიო კანონების ძალით კი პატრიარქს სინოდის მორიგ წევრებად ეს ეპისკოპოსები უნდა დაენიშნა პატრიარქმა იოაკიმემ თანხმობა განაცხადა სინოდის წევრებად ამ ეპისკოპოსების დანიშვნაზედ.

გაზეთების სიტყვით ტყუილია „ნოიე ფრეიე-პრესსეს" მიერ გავრცელებული ცნობა, ბოლგარიის მეფე ფერდინანდი სტამბოლში ყოფნის დროს მაკედონიის ავტონომიას მოითხოვსო. გაზეთი (?) სწერს: ავსტრიას უნდა ხელი შეუშალოს ბალკანეთის სახელმწიფოების და ოსმალეთის დაახლოვებას, მაგრამ ტყუილად, რადგან დარწმუნებით ვიცით, რომ მეფე ფერდინანდი სტამბოლში ყოფნის დროს სულაც არ შეეხება ოსმალეთის შინაურ საქმეებს. მეფე ფერდინანდის სტამბოლში ჩასვლის მიზანია დაუმტკიცოს ოსმალეთს, რომ ბოლგარია ოსმალეთის მეგობარიაო.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი" ეხება სერბიის და ბოლგარიის მეფეების გადაწყვეტილებას სტამბოლში ჩასვლის შესახებ და სწერს: ბალკანეთის სლავიანთა მეფეების სტამბოლში ჩასვლა მშვიდობიანობის ნიშანია. ჩვენ გულწრფელად უნდა მივესალმოთ ბალკანეთის სლავიანთა მეფეების ასეთ გადაწყვეტილებას. მეფე ფერდინანდი, სახელმწიფოებრივი სიბრძნე და გამჭრიახობა და ამასთან მშვიდობიანი პოლიტიკა შეძლებას მისცემს ბოლგარიის და ოსმალეთს მეგობრული კავშირი იქონიონ. სერბიასა და ოსმალეთს შორის ეხლაც კარგი განწყობილებაა და ამ განწყობილების განმტკიცებას ხელი შეუწყო სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრის, მილოვანოვიჩის სტამბოლში ჩასვლამ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბალკანეთზე მართლაც მშვიდობიანობა დამყარდება, რაიც ხელს შეუწყობს ოსმალეთის ახალ რეჟიმის განმტკიცებას და ბალკანეთის სახელმწიფოების წინმსვლელობას. ბალკანეთზე მშვიდობიანობის დამყარება ყველა სახელმწიფოებს ესიამოვნებათო.

„კორესპონდენტ ბიურო"-ს სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: რუშჩუკში მომხდარ ამბების გამო სტუდენტებმა მიტინგი გამართეს. მიტინგის შემდეგ სტუდენტებმა მეფის სასახლის წინ დემონსტრაცია მოახდინეს. ცხენოსანმა ჯარმა სტუდენტები გაფანტა.

**დევონპორტი.** ალლუმების დროს ორი ნაღმოსანი ერთმანეთს დაეჯახა. ნაღმოსნები ძალიან დაზიანდნენ.

**პეკინი.** დათხოვნილ ტიეხლიანის ადგილზე სამხედრო მინისტრად დაინიშნა ჩინეთის ელჩი ბერლინში ინჩანი, მინისტრის უფროს ამხანაგად, ნაჩინი, კანცლერ ნატუნის ძმა. გარეშე საქმეთა მინისტრი ლიანტუნიენი დაინაშნა დამოენების მთავარ მმართველობის გამგედ. ლიანტუნიენი გარეშე საქმეთა მინისტრადაც დარჩება.

**ლონდონი.** „ნიუ-იორკ-უორლდი" იუწყება: იაპონია ვაშინგტონში გზავნის განსაკუთრებულ საელჩოს. საელჩო წინადადებას მისცემს შეერთებულ შტატების მთავრობას შეთანხმდეს იაპონიასთან, რომ იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა იბატონონ შორეულ აღმოსავლეთში, უზრუნველჰყონ ყველა ერების სწორუფლებიანობა ვაჭრობაში და დაიცვან ღია კარების პოლიტიკა.

**არკლოუვი** (ირლანდია). კინსკის ქარხანაში აფეთქება მოხდა. მოკვდა ორი, დაშავდა რამდენიმე კაცი.

**ნიუკესტლი.** ირლანდიელების ლიდერმა რედმონდმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. რედმონდმა გაჰკიცხა მთავრობა, გაბედულად ვერ იქცევაო და იმედი გამოსთქვა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ საერთო არჩევნები მოხდებაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგის სხდომები გადაიდო 30, ლანდტაგის—25 მარტამდის.

**ფეცი.** გუშინ მახზენმა შერიფის ჯარს დაურიგა 41 დღის ჯამაგირი. დააპატიმრეს კაიდი ემბარეკა, რომელსაც გაჩხრეკის შემდეგ აღმოაჩნდა 10,000 ფრანკი. ეს ფული ემბარეკს ჯარისთვის უნდა დაერიგებინა და თვითონ კი მიეთვისებინა.

**ვენეცია.** ტარნოვსკაია'ს საქმე. თავჯდომარემ წაიკითხა სტალის წერილი. სტალი ტარნოვსკაიას სწერს გაგიჟებისა მიყვარხარო, მზადა ვარ ყველა თქვენი სურვილი ავასრულო და ანდერძი შენ სასარგებლოდ დავსტოვეო. ტარნოვსკაიას სიტყვით სტალს მართლაც უყვარდა იგი და თავი მიტომ მოიკლა, რომ ცოლმა უღალატა. თავჯდომარემ შენიშნა, გამომძიებელთან სულ სხვანაირად აჩვენეთ, თქვენის სიტყვით სტალმა თქვენთვის მოიკლა თავიო. ნაუმოვმა განაცხადა, ვენეციაში ტარნოვსკაიამ გამგზავნა და თან გამატანა კომაროვსკის სახლის გეგმა. ამასთან ტარნოვსკაიამ დამარიგა თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავიო. ტარნოვსკიამ უარჰყო ეს ყველაფერი, პრილიუკოვმა მოაწყოო. თავმჯდომარემ პრილიუკოვს მიუთითა იმ გარემოებაზედ, რომ ტარნოვსკაია ყველაფერს მას აბრალებს. პრილიუკოვის სიტყვით იგი ტარნოვსკაიას შთაგონებით მოქმედებდა. ტარნოვსკაიამ მთხოვა მომეკლა კომაროვსკი, მომცა რევოლვერი, მირჩია ხანჯალი მომეწამლა. ტყუილია მითომ ტარნოვსკაიასთვის მიმეწეროს, სისულელე იქნება თუ გარანტია არ გექნებათ გათხოვდეთ

მეთქი. ტარნოვსკაია ყვლეფერს დაჰყვეს.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: ინგლისის და რუსეთის მთავრობამ სპარსეთის წინადადება მისცა განზრახულ სესხის წინადადება-წინადადება ამ თაობაზე მისცა მინდობილი მთავრობა. სპარსეთის პასუხს ამ წინადადებაზე ამ დღეებში ელიან. იმედი არ არის, რომ სპარსეთი თანხმობას განაცხადებს ინგლის-რუსეთის პირობებზე და ეს მაშინ, როცა სესხის ფულის შოვნა ძალიან საჭიროა.

**თავრიზი.** მთავრობამ გადასწყვიტა ილის ექვს პრინცისაგან მთავარი სესხი. მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა თავის დადგენილება, პატრიოტები მოეწყობიან თავიანთ წლიური შეტანის კომიტეტში, რომელიც ექვსი კაცისაგან შესდგება.

სათარ-ხანმა და ბაგირ-ხანმა ერთ დღის დადგენილება თავრიზში ყასჩაიეთ. მოლოდინ მაშინ წავალთ თეირანში, თუ მთავრობა საზღაოდ 60 ათას მანეთს მოგვცემს.

**თეირანი.** სატახტო ქალაქის გაზეთების დამტვერები მოვიდნენ. მოწოდებით იტყობინება მოუსვენრობა ხალხს შორის. მთავრობამ უკვე მოაწყო ჯარი. მოახლოვდა ახალი წელი, დღესასწაულის დღეებში არა ვგონიათ, რადგან სპარსეთის უცხოელთა ჯარი ცხადვა და სპარსეთის დამოუკიდებლობა ემუქრებიანო. განზრახული აქვთ ის ფული, რომელიც დღესასწაულის დროს უნდა დაეხარჯათ, სახელმწიფოს შესწირონ.

### რ უ ს ე თ ი

**ტაშკენტი.** გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა საგუბერნიო კრება. კრებამ შეიმუშავა ტურქესტანის მხარის საოლქო და საშაზრო ერობების პროექტი. კრებამ ცოტაოდენის ცვლილებით მიიღო 1890 წლის ერობა. ებრაელებს უფლება არ ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ერობაში.

**იაკუტსკი.** მცხოვრებლები ძალიან შეაწუხა ნავთისა და შაქრის უქონლობამ. ნავთი გასასყიდად სულ არ მოიპოვება, შაქარს ორ-ორ გირვანქობით ჰყიდიან.

**ბლაგოვეშჩენსკი.** გათავდა სტამბის მომუშავეთა გაფიცვა. მუშები ჯამაგირის მომატებას თხოულობდნენ. 10 დღის გაფიცვისას გაზეთები არ გამოსულა.

**კიევი.** ფასტოვის ახლო შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველები თავს დაეცა დილიჟანს. ბოროტ-განმზრახველებმა მეზღვრებს წაართვეს 800 მანეთი და მიიმალნენ. დააპატიმრეს ორი ბოროტ-განმზრახველი. დაპატიმრების დროს ერთმა ბოროტ-განმზრახველმა პოლიციელს ესროლა.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ... განსვენებული გუბერნიიდან არჩეული იყო თავის დეპუტატად.

**კიევი.** კიევში დაარსდა სტუდენტთა ნაციონალურ კავშირის განყოფილება. დაწვრილებით კრებამ აირჩია გამგეობა და მოიწონა კავშირის წესდება, რომელიც ერთ-ერთ კრებაზე დამტკიცდა. განსვენებულ უფლებით მიიღეს.

**როსტოვი.** კრაჩევის მახლობლად სოფელ ... ოჯახში ადგილობრივმა მღვდელმა ... ბოროტ-განმზრახველებმა მოკლეს.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგად დანიშნულია ... უფისა და კოსტრომის გუბერნიებში გაუქმდა გაძლიერებული წესები. გუბერნატორებს სავალდებულო დადგენილებების გამოცემის უფლება მიეცათ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისია შეუდგა სათათბიროს მიერ ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონპროექტში შეტანილ შესწორებების განხილვას. კომისიამ მიიღო სკოროპადსკის შესწორება, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ცენზი საერობო უფროსების ცენზთან შედარებით ნახევრად შემცირდეს უმაღლესს სწავლა მიღებულთათვის მილიუკოვის წინადადებით ცენზი საჭირო არ არის.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ, ხომიაკოვმა, თავის უფროს ამხანაგს წერილი მისწერა და შეატყობინა, თავს ვანებებ თავმჯდომარეობასაო. ხომიაკოვი საღამოთი დაესწრო პრეზიდიუმის სხდომას და თავმჯდომარეობა თავად ვოლკონსკის ავადმყოფობისა გამო, შიდლოვსკის გადასცა. ხომიაკოვმა თავის გადაწყვეტილება პრეზიდიუმსაც შეატყობინა.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიანი დამატების შინაარსი: „წესდება“,— მოთხრობა უიარაღოსი; სურათები; „სიყვარულის ალში,“— სურათი ბინსისა, კომპოზიტორი შოპენი, მსახიობი კომისარჟევსკაია და კარიკატურა ტფ. ჟურნალისტთა კრებაზე.**

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **მამულების გაყიდვა.** როგორც მკითხველებმა იციან, სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის ტფ. განყოფილებაში მრავალი მამულია დაგირავებული და ყოველ წელიწადს იყიდება დაგირავებული ადგილები. წელსაც დაგირავებულ მამულებიდან სახელმწიფო ბანკში იყიდება 300-მდე მამული, რამდენიმე ათასი დესიატინა.

✦ **რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** როგორც ვწერდით, პეტერბურგში გზათა სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი რკინის გზის გაყვანის შესახებ კავკასიონის მთაზე. „ბ.“-ს სიტყვით, კომისიაში შევიდნენ: წარმომადგენელნი ნამესტნიკისა, ფინანსთა, სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლისა, გზათა მინისტრის ამხანაგები, მთავარ საფიზიკო ობსერვატორიის დირექტორი რიკაჩევი, პროფესორი ინოსტრანცევი, აკადემიკოსი ჩერნიშევი, კავკავის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე, პეჩკოვსკი და სხვანი.

✦ **სამრეწველო განათლება კავკასიაში.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ამჟამად პეტერბურგში მყოფ კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფს შეუმუშავებია გეგმა სამრეწველო განათლებისა კავკასიაში. განზრახულია კავკასიაში ექვს საშუალო სასწავლებლის დაარსება, დაბალ სასწავლებლების გახსნა განზრახულია ხუთ ქალაქში. ტფილისში დაარსდება რვა კლასიანი სამრეწველო-სატეხნიკო სასწავლებელი.

✦ **ახალი ტარიფი.** გაზეთების სიტყვით, ახალი ტარიფის შემოღება რკინის გზებზე განზრახულია პირველ ივლისს.

✦ **ბავშვების დათხოვნის შესახებ.** უკვე ვწერდით, რომ ტფ. სასკოლო კომისიის დადგენილების წინააღმდეგ, ქალაქის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებმა თავიანთ ნებით დაითხოვეს ამ კვირაში საზიარებლად მოსწავლენი. 4 მარტს მოხდა სხდომა სასკოლო კომისიისა, რომელმაც, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, უკანონოდ და დისციპლინის დარღვევად სცნო მასწავლებლების საქციელი და დაადგინა, გამოიძიოს ეს საქმე.

✦ **ქალაქის თავი თავ. ჩერქეზიშვილი.** როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, ტფ. ქალაქის თავი ვ. ნ ჩერქეზიშვილი გამომთელებულა, ავადმყოფს ოპერაციის ჭრილობები იმდენად მოშუშებია, რომ ფეხზე ამდგარა. ქალაქის თავი მარტის ოც რიცხვისათვის დაბრუნდება ტფილისში და შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

✦ **სანიტარული მდგომარეობა.** პოლიციის მეათე ნაწილში ქალაქის ექიმმა ქალმა შჩერბინინიმ, პოლიციელების თანხლებით, დაიარა და დაათვალიერა სავაჭრო სახლები, სასადილოები და სასმელი დუქან სარდაფები. ბევრი სავაჭრო სახლი მეტად ბინძურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეადგინეს ოქმები და სათანადო დაწესებულებას წარუდგინეს.

✦ **ქართული თეატრი.** როგორც ვწერდით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მოილაპარაკება გამართა თავ. ...აზ. დეპუტატთა საკრებულოსთან ქართულ თეატრის საზამთრო და საზაფხულო განყოფილებათა აღების შესახებ. როგორც გადმოგვცეს, დეპუტატთა საკრებულო პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ყოფილა დრამატიულმა საზოგადოებამ აიღოს თეატრი.

✦ **ჟურნალისტთა კრება.** დღეს, 6 მარტს, საღამოსთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრება. კრებამ უნდა აირჩიოს პატიოსნების სასამართლოს წევრნი.

✦ **მოკვლის განზრახვა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: 4 მარტს ბაქოში გადაცმულმა მატროსმა რევოლვერი ესროლა ნავთსადგურის უფროსს, მაგრამ უფროსს ტყვია ასცდა, მატროსს დასაჭერად დაედევნენ ყაზახები. მატროსმა მძიმედ დაიჭრა თავი.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნი „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი“. წიგნი შეიცავს 160 გვერდს და ღირს ათ შაურად.

✦ **არქეოლოგიურ საზოგადოების კრება.** დღეს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზე, ტფ. საჯარო ბიბლიოთეკაში მოხდება მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების ტფილისის განყოფილების კრება. რეფერატებს წაიკითხავენ. ს. ტერ-ავეტისოვი—„ძველი ხელთნაწერები წმ: სტეფანეს მონასტრისა“ და მ. კ. ყიფიანი—„ქართული ენის ზოგიერთ ბუნებრივ ეთიმოლოგიურ კანონებზე“. გარეშებსაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

✦ **ბანკის მამულები.** ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის 17 მამული ტფილისში მეორე წელიწადია, რაც იჯარით აიღეს გუნცაძემ და მისმა ხუთმა ამხანაგმა. მამულების ჩაბარების დროს მხოლოდ ასი თუმნის შეკეთება სჭიროდათ. აქედან 6 მამული უკვე გაიყიდა და მოიჯარადრეებს ახლა 11 მამული აქვთ. იანვარში ამ მამულების გადათვალიერებამ, როგორც გვატყობინებენ, აღმოაჩინა, რომ ათასი თუმანია საჭირო მათ შესაკეთებლად.

✦ **„ნაკადული“.** საყმაწვილო „ნაკადულის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ჟურნალის უკანასკნელი ნომრები ვერ გამოვიდა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო. ამ ცოტა ხანში ყველა ნომრები ერთად გამოვა.

✦ **ერთობა ხალხებისა.** ამას წინად მოსკოვში დაარსდა ახალი საზოგადოება „ერთობა ხალხებისა“. როგორც „ნ. რ.“ გადმოგვცემს, ეხლა ტფილისში არსდება ამ საზოგადოების განყოფილება.

✦ **შეტაკება ყაჩაღთა ბრბოსთან.** 1 მარტს ქართლში, ციციანთ ტყეში სოფლის პოლიციის და ყაჩაღთა ბრბოს შეტაკება მოსვლიათ. ხცისის მამასახლისი ხუთი სტრაჟნიკის ტყეში წასულა ყაჩაღების შესაპყრობად. გზაში ყაჩაღები, 15-მდე კაცი, ჩასაფრებიან და სროლა აუტეხიათ. ყაჩაღებს მოუკლავთ მამასახლისი ნადირაძე, ორი სტრაჟნიკი და მიმალულან.

✦ **ინგუშ-ყაზახთა შეტაკება.** გუშინ დეპეშათა სააგენტომ ამბავი მოიტანა, კავკავის მახლობლად შეტაკება მოუვიდათ ყაზახებსა და ინგუშებს. ამავე სააგენტოს სიტყვით შეტაკება არ მომხდარა.

✦ **მაჰმადიანთა საყურადღებოდ.** მთავრობის განკარგულებით მაჰმადიან მლოცველებს გეჯასში წასვლა მხოლოდ ბათუმით, ფეოდოსიით, ოდესით და სევასტოპოლით შეუძლიანთ.

✦ **კბილის ექიმთა საზოგადოება.** ამას წინად მოხდა წლიური კრება ტფ. კბილის ექიმთა საზოგადოებისა. წლიურ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ აირჩია ახალი გამგეობა. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა კბილის ექიმი ვარლამ ჭიჭინაძე, იმის ამხანაგად—ფედოტოვი, ხაზინადრად—თუმანოვი, საქმის მწარმოებლად—ფოი და იმის ამხანაგად ნინო ტყეშელაშვილი, ბიბლიოთეკარად—ბროდსკი. კრებამ მიიღო ბ-ნ ჭიჭინაძის წინადადება კბ. ექიმის ქამოევის 25 წლის იუბილეის გადახდის შესახებ და აირჩია კომისია. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება ბროდსკისა: „როგორ არის დაყენებული კბილის ექიმობის დახმარების საქმე საზღვარგარეთ“. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, საზღვარ-გარეთ დიდი ხანია იკვლევენ თურმე ბავშვების კბილებს. აღმოუჩენიათ, რომ კბილების ავადმყოფობა ბუნებრივად ხელს უწყობს სხვა-და-სხვა სენის ჯანში გავრცელებას. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ გაფუჭებული კბილები ბუდეა სხვა-და-სხვა სენისა, განსაკუთრებით ჭლექისა. გერმანიაში ყველა სასწავლებელი სცდილობს იქონიოს სკოლასთან კაბინეტი საკუთარ კბილის ექიმით. კრებამ, რადგან დიდად საჭიროდ სცნო მოზარდ ახალგაზრდობის კბილებისთვის ზრუნვა, აირჩია კომისია (ჭიჭინაძე, ქამოევი, ბროდსკი, ფედოტოვი, თუმანოვი, ტყეშელაშვილი, ფოი) და დაავალა: 1. შეისწავლოს

# ამონაკვნესი

IV.

**გრძნობის ტალღებმა გზა გაიკაფა.**

გურჯისტანის ვალიმ ხონთქარს ძლვნად ლვიძლი შვილი გაუგზავნა. მხლებლებს ყველას თვალი ჰქონდათ ახვეული თხელის ნაჭსოვით და თვით სადედოფლოსთვის შავი პირბადრი ჩამოებურათ: მშვენიერების შუქით სამი წყება მსახურთა უკვე დაბრმავებულიყო, და მხოლოდ შემდეგ დაიჭირეს თავდარიგი.

მრისხანე ხონთქარის მთელი სასახლე დადუმებულ-დაჩუმებული იყო. აგერ ოცი წელია ღიმს არ გადუფრენია მაღალ კედლების იქით.

დედოფალი კრძალვით გადმოსვეს. ჯერ კიდევ პირბადრი არ მოეხსნა, რომ მთელი ეზო რაღაც სხივმა მკრთლად გაანათა. ურიცხვი ძაღლები წამოხტნენ, კისრები წინ წასწიეს და კუდის ქნევა დაიწყეს. ცხენებმა ჭამა მიატოვეს და სასახლისკენ გაიწიეს. ფრინველებმა ნისკარტი გაიწმინდეს და ვინ ჭიკჭიკს, ვინ საამო კივილს მიჰყო ხელი. ხეები, თითქო სიო ეცათო, დაირხა, გახმაურდა. მოხუცი საჭურისიც კი გამხიარულდა: საცოდავი ადამიანი ეხლა სასცილო მაიმუნივით დახტოდა, იმანჭებოდა.

თვით გულზვიადი, მუდამ შუბლშეკრული ხონთქარი ფეხზე წამოდგა და მომღიმარა კარებში გაეგება ახლად მოდენილს ქალს. გზაზე ქალი დაქანცულიყო: გამდლები ამოსდგომოდნენ გვერდში და ეხმარებოდნენ სიარულში. მათ უკან მოჰყვებოდა შუბლ-მაღალი, დიდთვალეზიანი, ამაყი გამომეტყველების ვაჟკაცი.

— კეთილი ჰყოს ჰალამ შენი აქ მოსვლა!—მიესალმა ხონთქარი ქალს.
—შენ ვინა ხარ?—დაეკითხა ხონთქარი ამაყ ყმაწვილს.

— მე მგოსანი ვარ ამ ლვთაებისა!

— მე მწერდნენ ქალი არავის უნახავსო, შენ როგორ გაჰბედე!..

— არც მე მინახავს. დაბადების დღეს მაგის შვენებამ უნებლიეთ მიმიზიდა ჩვენის მეფისა სასახლისაკენ. მას მერე დავრჩი და მეფის ბძანებით უმღერდი ბავშს ძილის პირებს, სხვა ოთახიდან, სხვა ადგილიდან. ხშირად გალავანს იქით რომ დავძახებდი დილის შიქასტას, ან ძილის პირს, მითხრობდნენ შემდეგ დედაკაცები, ჩვენს დედოფალს ეცრემლებოდა, და ან სიხარულით გაიღიმებდაო.

— აქ საჭირო არა ხარ. მგოსნები და მომღერლები მეც საკმაოდ მყავს.

— მეფემ მიბრძანა, რადგან დედოფალს არ ესმის უცხო ენათ და უცხო ზნეთა და ჩვეულებათა შორის მოეწყინება ჩემს პირს მზუსაო, ეახელი, არა დაშორდე, კაეშანი გაუქარვეო.

— მაშ იყავ! მართალი ხარ!

შევიდნენ დარბაზში. მუტრიბნი, მხატვარნი, მოქანდაკენი, მგოსანნი, და მუსიკოსნი თავ-თავიანთ ადგილას იყვნენ: ახალი დედოფალი უნდა შეემკოთ. ქალს პირბადრი ახადეს... წინ ხონთქარს პირველი მგოსანი წამოდგა:

დიდი არს ჰალა, მისის წყალობით
მეფობს მრავალი ამ ქვეყნად მეფე,
მაგრამ სამოთხეს მხოლოდ შენ გაძლევს
სიცოცხლეშივე ჩვენი მეუფე.
აწი აღარ ვარ შენთვის საჭირო:
აღარ მოგმართავ მე გასართობად.
და ჩემი ქნარიც სამარადისოდ
დღეს მოირთვება მისდა სამკობად.

— მომჭერი თავი,—თრთოლვით წამოიძახა მხატვარმა— მაგრამ მაინც გეტყვი: საბერძნეთის ვალისაგან მოსყიდული ვარ. მას არ უნდოდა გურჯისტანის ვალის ქალი ცოლად აგეყვანა, საწყალს იმედი ჰქონდა, რომ ხელოვნების ქურუმთა სიტყვები უფრო ბევრს გავლენას იქონიებდა შენზე, ვიდრე ცოცხალი საბუთი. ბევრი მშვენიერების მნახველი ვარ, მაგრამ თვალი ეხლაც მთვრალია ჩემი. შენც კი, მეფეო, ბურუსში გხედავ. მხოლოდ დედოფალი ანათებს ჩემს თვალში; მთვრალი ვერაფერს ჰხედავს ხშირად, მაგრამ ღვინოს არჩევს... დამსაჯე ულირსი მონა ჩამაგდე საუკუნოდ საპატიმროში, ოღონდ მთელი სიცოცხლე ნება მომეც მაგის სურათი ვხატო. თუმცა ეს დასჯას ემზგავსება, მაგრამ ჩემთვის უმაღლესს ჯილდოს შეადგენს.

— მეფევ!—წინ წამოდგა მექანდაკე:—შემინდვე კადნიერება და დაამტვრიე ყველა ქანდაკება, როგორც ჩემი გამოქანდაკებული, ისე სხვებისა. სადაც დედოფლის მშვენიერება, წარმოუდგენელი მიმოხვრა სხეულთა ხაზებისა თვალს ხიბლავს, ყოველი ჩვენი ნამოქმედარი შეგვაწუხებს. მომეცი მარმარილო, ჩემს დღეს შევწირავ და სავარძელის გამოვჭრი. თუ მოვახერხე შესახამებელი ხომ კარგი, თუ არა და მეთვით დავითხრი თვალებს. შენი სასახლე, შენი სახლის წყობილება ერთგვარი უპატივცემლობაა დედოფლის.

— მეც ეს მინდოდა მეთქვა— ჩამოართვა სიტყვა ხუროთმოძღვარმა—მომეცი ნება, ავაგო სასახლე, რომელიც უფრო ეკადრებოდეს დედოფალს. ოღონდ ანგარიშს კი ნუ მომთხოვ. ძვირად დაუჯდება მეფეს: ყოველს მარმარილოს ქვას უნდა ჩაუსვათ ბრილიანტის ბულბული, ყოველ სვეტს უნდა ამშვენებდეს ოქროს შველი, იატაკი ბრინჯაოსი იქნება და ჭერი ზურმუხტისა.

მეცნიერმა, ნაოჭებით სავსე მეცნიერმა კრძალვით მოახსენა მეფეს:

— მე გამგზავნე, უფალო, საიდუმლოთ მიმალული სიმდიდრენი აღმოვაჩინო; წყაროები სიმდიდრისა გავამრავლო, ძალა და მნიშვნელობა მშვენიერებისა ავხსნა. მთელს ჯარს მეცნიერთა შეუყრი თავს და მიმოვივლი ქვეყანას.

— მოიქეცით ყველანი ისე, როგორც მითხარით. გასცენით საჭურჭლენი. არაფერს დამერიდოთ...

დედოფალი ყურადღებას არ აქცევდა ამ ლაპარაკს. მას არ ესმოდა უცხო ენა. შუბლ-მაღალი, დიდრონ თვალებიანი, ამაყი გამომეტყველების ვაჟკაცი კედელს მიყრდნობოდა და ვერ გამორკვეულიყო სანახაობიდან.

როცა ხონთქარი ადგა და დედოფალს ხელი მოჰხვია წასაყვანათ, მგოსანი უეცრად შეიძრა და მოულოდნელად დაიწყო გალობა:

მზეთუნახავი მამისა კოშკში
ვითა ირემი, ლაღი დარბოდი
ყელმოღერილი, გედი სწუხდი,
ანგელოზების ხმითა ჰგალობდი.
არ მინახიხარ, მაგრამ სიყვარულს
თავისი გზა აქვს რამ იდუმალი:
ისე მომენთო, აღმაფრთოვანა,
თვით არ ვიცოდი, სად იყო ალი.
ისე დაგმღერდი, ვითა ბულბული
მთვარიან ღამეს დამღერს კოკობ ვარდს.
ბულბული ფურჩქვნიდს ვარდსაც დამ-
| დერის,
მე კი ვერ გიმღერ მზისკენ ხილულს.
აბა, მშვიდობით, აქ ვტოვებ ჩემს
| გულს
და სამარისკენ მიმაქვს ცხედარი.
ჩემთვის თუ რისხვით მოიქცა ცამა,
გვედრი შენ მოგცეს მუდმივად დარი.

დედოფალმა ვერ მოითმინა: შიში, კრთომა დაარღვია, მივარდა ვაჟკაცს და ჩაეკვრა.

მეფე განრისხდა:

— გაეთრიეთ აქედან!—ბძანა და უმაგალითო სასჯელის გამოსაგონებლად ჩამოჯდა ტახტზე.

ღამე არ სძინებია. ყველაფერი ცოტა იყო მისთვის: თვალების დათხრა, ძარღვების ამოგლეჯა, ხის დაღუნულ შტოებზე მათი მიკვრა და გახლეჩა, დაჩხვლეტა, დაწვა, ანძზე ჩამოცმა მცირე სასჯელად ეჩვენებოდა ხონთქარს.

გათენდა დილა. შუადღემ მოაწია. დიდებულნი იკრიბებოდნენ. მწყერივით შემოძვრებოდნენ და უხმოდ ჯდებოდნენ. საშიში დღე იყო. განრისხებული ხონთქარი არა ერთს გააგდებინებდა დღეს თავს, არა ერთს წაართმევდა სარჩო-საბადებელს და მათხოვრად გაუშვებდა.

დარბაზი გაივსო. ხონთქარი, უძინარობით და სიბრაზით თვალებ-დაწითლებული, შემობრძანდა. ყველა განსაკუთრებულის სიჩქარით გაენაბა. არავის არ უკადრებია ისე ჩაეხედა დარბაზში, რომ ხონთქარს არ შეეხედნა, არ მიექცია ყურადღება. ხონთქარი ავიდა ტახტზე. ყურდღლებივით დაცქვიტეს ყურები დიდებულებმა და ეცადნენ ერთად ამოგარიყვნენ.

— მოიყვანეთ პატიმარნი!

შემოიყვანეს. მათ არ ეტყობოდათ მწუხარება, სინანული. ორივე ბედნიერი იყო ერთმანეთის სიყვარულის გაცნობით.

ხონთქარს ეშინოდა, ჯადოსან ქალის სილამაზემ არ გამალმობიეროსო და ზურგ-შექცეული შეჰხვდა მათ. მრთოლვარე, დამწუხრებულ დარბაზს მხიარულების ფერმა გადაჰკრა, შიში დაავიწყა და ალტაცების ქშენა აღმოხდინა.

— ჩამოახურეთ პირბადრი!—ბრძანა ხონთქარმა.

ხონთქარი შემობრუნდა.

„მაინც თვალწარმტაცია!“—გაიფიქრა ხონთქარმა.

— თქვენ ჩემთვის აღარ არსებობთ! გარყვნილებისათვის მე მხოლოდ გსჯით იმით, რომ ერთმანეთს არც ერთი სიტყვა არ უთხრათ. თუ ვაჟი იტყვის სიტყვას, ქალი იქნეს მოკლული, თუ ქალს წამოსცდება სიტყვა, ვაჟს მოეკვეთოს თავი! სხვაფრივ იცხოვრეთ ქალაქს გარეთ ჩემს სასახლეში და არ მოგეკლოსთ თქვენ ღირსი პატივისცემა და სარჩო. დიაცი არ მეჩვენოს უპირბადროთ არასდროს—წაიყვანეთ!

— დიდ არს ჰალა! დიდ არს და ლმობიერ არს ხონთქარი!—დაიწყეს ღრიალი დარბაზში.

— ხონთქარმა იცოდა, რა ლმობიერიც იყო და სიბრიყვემ დარბაზისამ გულზე გადაუარა.

როგორ არის საზღვარ-გარეთის და პეტერბურგ-მოსკოვის სასწავლებლებში მოწყობილი კბილის წამლობის საქმე; 2. ბეჭვდითი სიტყვით გააცნოს საზოგადოებას, რა აუცილებელია მოზარდის თაობის კბილის ყურისგდება; 3. გაშინჯოს ყველა არსებულ ადგილობრივ სკოლაში ბავშვების კბილები; 4. დამზადებულ მასალით და სტატისტიკურ ცნობებით ხელში მიჰმართოს ქალაქის თვით-მმართველობას დახმარებისათვის და მოაგონოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1905 წლის ბძანება. მეორე მოხსენება იყო კბ. ექ. სოლოლაშვილისა: „რახიტის გავლენა კბილების ზრდაზე", დამყარებული საკუთარ დაკვირვებაზე, ექიმობის დროს. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ეს მოხსენება სპეციალურ ჟურნალში დაიბეჭდოს, მერე თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ჟურნალ „Зубо-врач. міp-ში (1909 წ. № 10). დაბეჭდილია: ზოგიერთმა კბილის ექიმებმა ითხოვეს, რომ მათ არ გადაახდევინონ „ბინის გადასახადი", ვინაიდან კბ. ექიმის სადგომებში, როგორც საავადმყოფო-სამკურნალოებში, მთელ დღეს ავადმყოფებს იღიბენ. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა. კრებამ დაადგინა, ეს ამბავი აცნობოს ამხანაგებს ადგილობრივ პრესის საშუალებით. შემდეგ კბ. ექიმმა ქამოევმა აჩვენა კრებას ახალი საკუთარ სისტემის ელევატორები ძლიერ ღრმად მჯდარ ფესვების ამოსაღებად, აგრეთვე ახალი იარაღი შტიფტის ამოსაღებად.

◆ ედ. როსტანის ახალი პიესა „შანტეკლერი" (განთიადის მომღერალი), ოთხ-მოქმედებიანი პიესა, უკვე გადმოითარგმნა ლექსად ქართულად ა. შანშიაშვილის და რ. ბებიაშვილის მიერ. დრამა დაიბეჭდება ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" კვირის (7 მარტის) ნომერში.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებასთან არსებულ სახელმწიფო შემნახველ კასას თებერვლის განმავლობაში შესანახად მიუღია, 81,477 მან. 75 კაპ., ხოლო 1 იანვრიდან 1 მარტამდე 198,854 მან. ამავე ხნის განმავლობაში კასიდან გაუტანიათ 69,520 მან. 85 კ.

◆ დღეს, 6 მარტს, საღამოსათვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ კვირას, 7 მარტს, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ნასიძე ქართულად წაიკითხავს „დანგრეულ ბუდეს". დასაწყისი 11 საათიდან. ავჭალის აუდიტორიაში უმცროსებისათვის ქ-ნი გონიევისა წაიკითხავს „შაშვის თავ-გადასავალს", ხოლო უფროსთათვის ქ-ნი ასათიანისა ქართულად „თავგანწირული ხალხი". დასაწყისი 10 საათზე.

◆ 22 თებერვლიდან 1 მარტამდე ქალაქში 20 შემთხვევა იყო გადამდებ სენით ავადმყოფობისა. აქედან 9 ყელის ჭირვებით გამხდარა ავად, 4 ხურვებითა და სხვ. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოებში უწოლია 30 კაცი. გადამდებ სენით ავადმყოფი, აქედან 22 ყელის ჭირვებით. ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში 1 მარტისათვის ერთი ადგილი განთავისუფლდა.

◆ ვერაზე ვარაზის ხევში ახლომახლო მცხოვრებნი უთვალსავე სიბინძურეს ჰყრიან, რის გამოც სიცხეებში იქ გავლა უთვალად შეუძლებელი ხდება. პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაულმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და მცხოვრებთ აღუკრძალა ვარაზის ხევში ნაგვის ჩაყრა.

◆ ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ტფ. სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელ განყოფილების მიწის მზომელი არშაკ მირაქოვი, მცხოვრები ბებუთოვის ქუჩაზე, თავის ცოლით სახლიდან გასულა და შინ დაუტოვებია მსახური ქალი ანნა ქერდაკაშვილი, შინ დაბრუნებისას მურაქოვისას უნახავს გალებული კამოდი და იქიდან 300 მანეთის ნივთები მოპარული. ეჭვით ქერდაკაშვილი შეიპყრეს, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე მცხოვრებ დავით გულულოვთან შესულა ვლადიმერ რადიონოვი და ადგილი უთხოვნია. როცა უარი მიუღია ოქროს საათი მოუტაცნია და მიმალულა. რადიონოვი რამდენიმე ხნის შემდეგ დაუპატიმრებიათ, უთქვამს, საათი 60 კაპიკად გავყიდე შუა ბაზარშიო. 4 მარტს, საღამოს 10 საათზე, „ოდესსის" სასტუმროს მსახურს ონისიმე მიქაბერიძეს ჩხუბი მოსვლია ბუდრესას სასადილოში მზარეულ ვლადისლავ იავორსკისთან და სამზარეულოს დანით დაუჭრია ეს უკანასკნელი. მიქაბერიძე დააპატიმრეს. მე-2 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 29 ქალი, რომელნიც საიდუმლოდ როსკიპობას ეწეოდნენ. ამავე დღეს პოლიციის მე-3 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 4, მეოთხე ნაწილში—5 უპასპორტო კაცი.

## მოწერილი ამბები

**ახალციხე.** საფარის მონასტერში (ახალციხიდან 4 ვერსია). ამას წინად, თებერვალში, უბედურება დატრიალდა. ფეჩის ნახშირის სუნით მოიწამლნენ ანდრია წმინდის მცხოვრებნი გაბრიელ ბერიძე (19 წლისა) და ვლადიმერ ინასარიძე (20 წლისა). საწყლები, დღიურ სამუშაოდ ყოფილან გასული მონასტერში, მონასტრის ბერებს საწოლ ბინათ მიუციათ კედელში მიშენებული, ძალიან პატარა სენაკი, რომლის სიგრძე 2—3 არშინს არ აღემატება და სიმაღლეც ხელის მისაწვდენია. ამ პატარა სადგომში ქვის პაწაწა ფეჩიც ყოფილა, რომელიც აუნთიათ დაწოლის ხანს. უადგილობისა გამო ფიცრები გაუბოგირებიათ ზედ ფეჩსა და სტოლზე. ფეჩი შენელებული ყოფილა სიცხისაგან და ორივენი ერთად დაწოლილან ზედ. მეტი სიგრძეც არა ჰქონია სადგომს: ფეხები ფეჩზე და თავი კედელთან. ფეჩის ასავალი ბუხარი იმ კედელში ყოფილა მოთავსებული, სადაც ამათ სასთუმალი ჰქონდათ თურმე. ზედ სასთუმალთან ყოფილა ბოლის დასაკეტი ჟესტი. გაუგებარია, დაწოლის ხანს თვითონ შეუწევიათ და დაუკეტიათ ჟესტი, თუ ძილში თავი მიურტყამთ და დახურულა. დილით ორივენი დამხრჩვალი უნახავთ.

როგორც გვესმის, ჩვენი გიმნაზიის საქმეც გათავებულა და მომავალ ენკენისთვიდან გაიხსნება თურმე. მისაღები ეგზამენები მაისში მოხდება.

ჩვენი ვაჭრები უზომო კრიზისს განიცდიან უბანკობისა გამო. იმდენს ვერ ახერხებენ, რომ ბანკი დაარსონ. 100 და 200 მანეთი რომ დასჭირდეთ, ან უნდა ტფილისის ბანკებს მიმართონ, ან არა და ადგილობრივ ისესხონ და 30 და 40 პროცენტი გადაიხადონ.

ქართველ-კათოლიკეთა მღვდლები დღემდე ირწმუნებოდნენ, რომ როდესაც კათოლიკე ქართველობა ქაღალდს მისცემს მთავრობას,—სომეხი ტიბიკონიდან ლათინის წესზე გადაგვიყვანეთო, ჩვენც უეჭველად მოვაწერთ [illegible] ხელსაო. მაგრამ ეხლა [illegible] უღალატა თავის სიტყვას და არც [illegible]მა არ მოაწერა ხელი: გვეშინიან არხიმანდრიტის ტერ-აბრამიანისა, შეიძლება ულუკმა-პუროდ დაგვტოვოსო. აი ასეთ მღვდლების ხელში არიან კათოლიკე-ქართველობა.

ქ. გვარამაძე.

## მცირე შენიშვნა

ბ-ნთ ყიფშიძისა და ბერიძის ფელეტონში მოყვანილია სიტყვები არაბულ ვერსიისა: „იბირ ბ-ზ-ხუა" და „პუსხუა". მე მინდა იქ აღვნიშნო, რომ ადვილად შესაძლებელია ეს ორივე სიტყვა აფხაზური იყოს. აი, რა მოსაზრებით.

სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ყოველისფრით შემკული ხეობა „პუსხუ" (მეგრულის გამოთქმით), აფხაზურად კი ფ-ს-ჰვ (უკეთ ფჰსჰჰვы,—ასო ы თითქმის არ ისმის) და ამ ხეობაში მცხოვრებთ აფხაზთ უწოდებდნენ ფ-ს-ჰვაა (აუოვ-კაცი,—აუაა—კაცები, ხალხი). ამ რიგად არაბული „პუსხუა" ჩემ მიერ ნაჩვენებ ხეობის სახელ-წოდება მგონია, თუმცა უკანასკნელი ასო „ა" უფრო ხალხის აღმნიშვნელია, ვიდრე ქვეყნის: ფ-ს-ჰვს მცხოვრებნი. იქვე მეორე ხეობას ეწოდებოდა—ან ჰი-ფ-ს-ვ!

ხოლო რაც შეეხება სიტყვას იბირ-ბ-ზ-ხუა, ესეც შეიძლება აფხაზური იყო. ფ-ს-ჰველთ გადაღმა სცხოვრობდნენ აფხაზნი, რომელთაც უწოდებდნენ „აზოხუა": ძირი აზოხ, უა—აუა—ხალხი; „იბირ" (ამბირ,—ამბერ) ეხლაც იხმარება სახელად, და ამრიგად იბირ-ბ-ზ-ხუა, ჩემის აზრით, უნდა ნიშნავდეს იბირ (ამბერ, ამბარ) ზოხუელი. შეიძლება მეორე განმარტებაც: აფხაზეთის დასავლეთ ნაწილს დღესაც ჰქვია ბ-ზ-ფ (ბ-ზ-ფნ), ხოლო აქაურ აფხაზთ ეძახიან. აბ-ზ-ფუა, ბ-ზ-ფუა. ამ რიგად იბირ-ბ-ზხუა ნიშნავდეს იბირ ბზფველი.

შეიძლება ეს მხოლოდ სიტყვათა გარეგანი მსგავსება იყოს; ამის გადაწყვეტა ჩვენს ახალგაზდა მეცნიერთათვის მიმინდვია. ხოლო არ შეიძლიან მათი ყურადღება არ მიაქციონ შემდეგს გარემოებას; აფხაზეთში ბევრი გეოგრაფიული სახელწოდებაა, რომელთაც შეუძლიანთ ბევრი რამე გამოაშკარავონ. მაგალითად, შოუდ-დ (მთაა)—შოუს ღუდი, ანუ შოუდიდი (არის პატარა შოუც), ჟვირგ (მთაა)—ზურგი, დიანტვარა (მთაა)—დიან (ადიან) აფ. დადიანი, ტვარა—საჯდომი, სალხინო ადგილი დადიანისა, ლომთია (მთაა)—ლომიშ თია (ლომის წილი, არჩივი, კერძი). თია—კერძს, წილს ნიშნავს მეგრულად; დიანჩვიშ (სოფელია) დადიანის საზღვარი, ცხენ-წყარ და მრავალი სხვა. თუ ვინმე ისურვებს აფხაზეთში მოგზაურობას, როგორც აფხაზურის მცოდნე, საჭირო დახმარებას გაუწევ.

ნიკო ჯანაშია.

## წერილი ახალ სენაკიდან

ინტელიგენციის ინდიფერენტიზმი—წ.-კ. საზ. განყოფილება, სამოქალაქო სკოლა და ქალთა პროგიმნაზია.

არა მგონია, სადმე სხვაგან ჩვენს კუთხეულ საქართველოში საზოგადო საქმეთადმი ისეთი გულ-ცივი და გულ-გრილი ინტელიგენცია ბოგინობდეს, როგორიც ყოველ მხრივ ჩამორჩენილს ამ ჩვენს დაბაშია. აქაური ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება—„მარილი სოფლისა"—რაღაც ისეთ უბედურ ვარსკვლავზედაა დაბადებული, რომ არავითარ საზოგადო საქმეში სიცოცხლის ნიშანს, ხალისს და ინტერესს არ იჩენს: სრულიად ინდიფერენტიზმისა და უიმედობის მსხვერპლად გამხდარა იგი. როგორც ერთმა კაცმა იოხუნჯა, შეიძლება ეს ადგილობრივი მალარიის ბრალიც იყოს: „მან ნებით დააუძლურა და ხასიათით დაასუსტა იგი, „მარილი სოფლისა", და ასე, გორკის ერთ-ერთ გმირისა არ იყოს რომელსაც ეშმაკმა გული ამოაცალა,—სუსტნი, ულონონი, თან საზოგადო საქმისადმი გულ-ცივნი მივაჩანჩალებთ ჩვენს ცხოვრებას. გულ-საკლავი ის არის, რომ ხშირად ამ ჩვენს საზოგადოებრივ არარაობას ვამართლებთ მაღალ-მაღალ და ფერად-ფერადის აზრებით:

О чемъ же пѣть?
Востокъ и югъ давно воспѣты"!-ო. ან და:
стоитъ ли читать и почитать Акакія и Илью," имѣя Шиллера и Шекспира!"-ო. ასე და ამ გვარად.

სამწუხარო და საზოგადო ის არის, რომ იმ თითო ოროლას, რომელიც მთელს თავის არსებით გატაცებულია საზოგადო საქმეებით, იმათაც ხელს უშლიან, უცარავენ.

* *

როგორც მკითხველს მოეხსენება, აქ აგერ თითქმის წელიწადია, რაც არსებობს ადგილობრივი ფილიალური განყოფილება წ.-კი საზოგადოებისა, და უნდა აღვნიშნო, რომ საქმის მოთავენი (ესე იგი გამგეობა) სანაქებო უნარსა და საქმისადმი სიყვარულს იჩენს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ენერგია მისი ხშირად იმსხვრევა და შესაფერი ნაყოფი ვერ მოაქვს ჩვენის გულ-გრილობის წყალობით. ამისთანა კულტურულ დაწესებულების სათავეში როგორ არ უნდა ჩაუდგეს მასწავლებელი, რომ თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება საერო სამსხვერპლოზე გამოიტანს ზვარაკად? სამწუხაროდ, არც ერთმა მასწავლებელმა, ვინც-კი საზოგადო კრებამ სასურველ კანდიდატად სცნო, თანხმობა არ განაცხადა, უარ-ჰყო! ამას ვიღა ჩივის, რომ უფრო მეტს არ ჩადიოდნენ: საზოგადოებას ახლოსაც არ ეკარებიან. ფილიალურ განყოფილების საზოგადო კრებას ორჯერ შემთხვევით დავესწარი და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ თითქმის არც ერთი ადგილობრივი მასწავლებელი წევრთა შორის ვერ დავინახე, თუმცა რიცხვით ბევრნი არიან აქ. რაა მიზეზი, არ ვიცი. ამავე გულ-გრილობის წყალობით ველარ მოხერხდა გამგეობის მიერ განზრახულ ლექციების კითხვა ლექტორთა უყოლობის გამო. ჯერჯერობით საკვირაო სკოლის გახსნაც ვერ მოხერხდა. სამკითხველო კი უკვე ნახევარი წელიწადია, ნაყოფიერად არსებობს.

* *

მთელს სენაკის მაზრაში, სადაც ასოც ათასზე მეტი მცხოვრებია, ასე გასინჯეთ, სამოქალაქო სასწავლებელიც კი არ არსებობს. რით დაიკმაყოფილოს ხალხმა წყურვილი ელემენტარულ ცოდნის შეძენისა? სად და ვის მიმართოს? რამდენი ხანია, აბაშა და მარტვილი დიდს მეცადინეობაში არიან, სამოქალაქო სკოლები დაიარსონ, გარნა ამაოდ. ამავე ყოფაშია ჩვენი დაბაც. თუმცა ყველაფერი ხელს უწყობს, რომ არა თუ სამოქალაქო სასწავლებელი, უფრო უკეთესი ტიპის სკოლაც დაიარსოს, გარნა აქამდის ვერა მოახერხარა. ერთ დროს ბედმა, ის იყო, გაუღიმა, დირექციის წარმომადგენელიც კი ჩამოვიდა მომავალ სკოლისთვის შენობის ადგილის ასარჩევად, მაგრამ საქმე ისევ ჩაიფუშა. ხალხს რო ჰკითხოთ, ბ-ნმა ენუქიძემ ჩაგვიფუშაო, აქაო და ინსპექტორობას მე არ მომცემენო და სხვა. რა თქმა უნდა, ეს „უსაბუთო საბუთია". განა საზოგადოების სურვილს შეუძლიან ერთი ვინმე წინ აღუდგეს და საქმე ჩაუფუშოს, თუნდ იგი თვით ბ-ნი ენუქიძეც იყოს? ეს მხოლოდ ერთგვარი ფანდია; ჩვენი სისუსტე, არა-რაობა გვინდა სხვას თავზე გადავახვიოთ: ჩვენ ასეთნი ვართ, მაგრამ სხვანი [illegible] ვერ [illegible] ისე [illegible] ხალხი [illegible] რჩება, ის ხალხი, რომელმაც მწარე გამოცდილებით შეიგნო, რომ [illegible] არის უსწავლელობა, და [illegible] გროშს, ოფლითა და ვაი-ვაგლახით გადარჩენილს არ იშურებს, ოღონდ თავისს შვილს ააცილოს ცხოვრების ის უკუღმართი ტვირთი, რის სიმძიმის ქვეშაც თითონ სულსა ჰლაფავს.

* *

ვაჟთა პროგიმნაზიის საკითხმა დიდი ხანია მცხოვრებთ თავი დაუკრა. ასეთისავე ვარსკვლავზე დაიბადა ქალთა პროგიმნაზიის საკითხიც. ერთ დროს აყაყანდნენ და დაფაცურდნენ; მაყურებელთ ყურები გაგვიჭედეს და როცა საქმემ ფული მოითხოვა, ყველა აქეთ-იქით მიიმალ-მოიმალა. საზოგადო თვისება სენაკელისა ის არის, რომ თუ იმის ჯიბეს ხელს არ ახლებ, თვით ჯოჯოხეთში ჩაგყვება, ხოლო „ხელის ქუჰყი" თუ ახსენე,—სათოკეზედაც აღარ მოგეკარება. სწორედ ამ გარემოებამ აგვაღებინა ქალთა პროგიმნაზიაზე ხელი, თუმცა მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელი დიდს დახმარებას გვპირდებოდა. ამასთან უიმედო მდგომარეობიდან გამოგვიყვანა ერთმა ადამიანმა. ქ-ნ ფულარიას თაოსნობით შესდგა ქალთა წრე, რომელმაც პირველ ენკენისთვიდან გახსნა აქ ქალთა პროგიმნაზია. წრე გულმოდგინედ მუშაობს და პროგიმნაზიის საქმეებიც ჩინებულად მიჰყავს, რამდენადაც ეს მისგანაა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ აქაც იგივე გულ-ცივობა და „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირობა" გამოიჩინა: მოსწავლეთა უმრავლესობამ სიღარიბის გამო სასწავლო ქირა ველარ გადაიხადა და თუმცა პროგიმნაზია ამის გამო ბავშვებს არ ითხოვს, მაგრამ ადრე თუ გვიან იძულებული იქნება ყველა დაითხოვოს და სხვაგან სცადოს ბედი. სამზრუნველო კომიტეტიც კი შესდგა, მაგრამ მისი არსებობა ჯერ ქაღალდს არ გასცილებია. მიეცით საშუალება სკოლის გამგეთ ნაყოფიერ მოქმედებისა, დაეხმარეთ მათ ზნეობრივად და ქონებრივად, ულოლიავეთ და შეიყვარეთ ეს სკოლა და ნაყოფს გასახარელს მიიღებთ. თქვენ შეგიძლიანთ, როგორც კერძო სასწავლებელზე მეტი გავლენა იქონიოთ მაზე და უფრო სასურველ ნიადაგზე დააყენოთ სწავლა-აღზრდის საქმე საზოგადოდ და კერძოდ სამშობლო ენა, და მით იქნებ აიცილოთ მეორედ ის გესლით აღსავსე სიტყვები პოეტისა, რომელმაც სენაკიდან დაბრუნებულმა განაცხადა: „მე პატარა რუსეთიდან ჩამოვედიო!" მაშინ, როდესაც ევროპიელებს რომ თავი დავანებოთ, თვით რუსნიც (ვისაც ქონება ხელს უწყობს) გაურბიან „კაზენშჩინას", ჩვენ მას ვაკვდებით, იმის კარებზე ვლევთ სულსა.

უნდა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენის საკუთარ ძალ-ღონის გარეშე არ არის ჩვენი ხსნა. დავივიწყოთ, რომ თვითოეული ჩვენგანი არ არის ცენტრი მსოფლიოსი, დავივიწყოთ შენ-ჩემობა და საქმეს მხნედ და ერთგულად ჩავჰკიდოთ ხელი, ვინძლო ბურთი ლელოს გავიტანოთ, თორემ ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით ავიკიდოთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და გზა დაუთმოთ ჩვენზე უფრო მხნეს და გამრჯელს.

ჰამუთ-ბეი.

## შორეულ აღმოსავლეთი

**ჩინეთი საზღვარს ამაგრებს.**

მუკდენიდან ატყობინებენ „რეჩ"-ს: სუი-უან-ჩეუში, მდინარე უსურის დასავლეთ ნაპირზე, იქ სადაც ეს მდინარე ამურს ერთვის, ჩინეთის მთავრობა შეუდგა მრავალ სიმაგრის აგებას.

**ახალი საზოგადოება ჩინეთში.**

ჩინეთში დაარსდა ახალი საზოგადოება ჩინეთის განაპირა ოლქების დასასახლებლად. ამ საზოგადოებას მეთაურებად ჰყავს გზათა მინისტრი სიუ ში-ჩინი და სახელმწიფო ბანკის დირექტორი ჩჟან-ბოუ. საზოგადოებამ მთელი თავისი ყურადღება მიაქცია რუსეთის საზღვარს ახლო მდებარე ოლქების დასახლებას. ამ ცარიელ ადგილებში ჯერ-ჯერობით ასახლებენ მარტო სათადარიგო ჯარის კაცებს. ყოველ ახლად დასახლებულს მიეცემა ხაზინისაგან მიწის ნაჭერი, სახლი საჭირო მოწყობილობით და 62 იენი ფულად. კან-

---

—ვინა სთქვა, რომ მე ლმობიერი ვარ?—იკითხა ხონთქარმა—დაღეგით მარჯვნივ.

პირველად ვერავინ გაბედა. როცა ერთმა წაიწია, ყველა მას გაჰყვა.

—სიბრიყვისთვის დასჭერით ყველას თავი!—ბრძანა ხონთქარმა.

მგოსანს ათასი სურათი ეხატებოდა გულში, ათასი გრძნობა აწვებოდა ენას. გრძნობათა მორევი თავში სცემდა მგოსანს და რადგან ვერაფერს გამოსთქვამდა, აწუხებდა, აღონებდა, თავი სტკიოდა და მოღუშული დადიოდა.

ქალიც მოწყენილი თვალს არიდებდა, ეშინოდა მომღერლისა. იგი მხოლოდ უვლიდა ტყუპებს—მუსიკას და პოეზიას, რომელნიც უკვე ეყოლა.

მაგრამ გრძნობის ტალღებმა გზა გაიკაფა.

მგოსანმა მარმარილოს ნამტვრევი ნახა და ირემი გამოაქანდაკა. გამოქანდაკებული ირემი უბრალო ირემი იყო. მაგრამ შიგ იმდენი სიყვარული იხატებოდა, იმდენი სინაზე და ალტაცება მშვენიერებისადმი, რომ ქალი უნებლიეთ ჩაეხვია მგოსანს...

მგოსანს გული მოეშვა.

ხვევნა-კოცნის დროს, ტრფობის ალში გახვეულნი, წამსა უმწვერვალესს ნეტარებისას, მათ არ ავიწყდებოდათ, რომ ხმას ვერ გასცემდნენ ერთმანეთს, რომ ერთი სიტყვის თქმა მიჯნურის სიცოცხლედ იყო დაფასებული. ეს იყო ყოველ წამებაზე უფრო დიდი წამება. ყოველ მივარდნილ ადგილსაც-კი, როცა ჩრდილში ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, ბუჩქებთა შორის გამოჩნდებოდა რა პატარა თვალი საჭურისის.

ხონთქარმა ბრძანება გასცა, რაც მარმარილოა მოჰკრიბეთ და აუზი ააშენეთ სასახლისათვისო. სხვათა შორის, მგოსნის გამოქანდაკებული ირემიც აუზის პირას დადგეს.

—

მგოსანს ათასი სურათი ეხატებოდა გულში, ათასი გრძნობა აწვებოდა ენას. გრძნობათა მორევი თავში ურტყამდა და რადგან ვერაფერს გამოსთქვამდა, აწუხებდა, აღონებდა, თავი სტკიოდა, ხელი უცახცახებდა და მოღუშული დადიოდა.

ქალიც მოწყენილი თავს არიდებდა, ეშინოდა მომღერლისა. იგი მხოლოდ უვლიდა სამს პატარა ბავშს: მუსიკას, პოეზიას და ქანდაკებას.

მაგრამ გრძნობის ტალღებმა გზა გაიკაფა.

მგოსანმა პატარა ცოცხი მოსჭრა, ფერადები შეამზადა და სურათი დახატა. სურათი სულ უბრალო რამ იყო: დიდრონის ხეებით დამალულ ეზოში ოდნავ გამოსჩანდა პატარა ქოხი. მაგრამ შიგ იმდენი სიყვარული იხატებოდა, იმდენი სინაზე და ალტაცება მშვენიერებისადმი, რომ ქალი უნებლიეთ ჩაეკრა მგოსანს.

მგოსანს გულს მოეშვა.

ხვევნა-კოცნის დროს, ტრფობის ალში გახვეულნი, წამსა უმწვერვალესს ნეტარებისას, მათ არ ავიწყდებოდათ, რომ ხმას ვერ გასცემდნენ ერთმანეთს, რომ ერთი სიტყვის თქმა მიჯნურის სიცოცხლეთ იყო დაფასებული. ეს იყო ყოველ წამებაზე უარესი. ყოველ მივარდნილ ადგილსაც კი, როცა ჩრდილში ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, ბუჩქებთა შორის გამოჩნდებოდა ორი პატარა თვალი საჭურისისა.

ხონთქარმა სურათიც წაიღებინა ჰარამხანაში მიმქრალ გრძნობათა ასაღელვებლად.

მგოსანს ათასი სურათი ეხატებოდა გულში, ათასი გრძნობა აწვებოდა ენას. გრძნობათა მორევი თავში ურტყამდა და რადგან ვერაფერს გამოთქვამდა, აწუხებდა, აღონებდა, თავი სტკიოდა, ხელი უცახცახებდა და მოღუშული დადიოდა.

ქალიც მოწყენილი თავს არიდებდა, ეშინოდა მომღერალის. იგი მხოლოდ უვლიდა ოთხს პატარა ბავშს: მუსიკას, პოეზიას, ქანდაკებას და მხატვრობას.

მაგრამ გრძნობის ტალღებმა გზა გაიკაფა.

მგოსანმა ქვების ნატეხებიდან რაღაც საოცნებო, სახლი გააშენა. სახლი სულ უბრალო რამ იყო. მაგრამ შიგ იმდენი სიყვარული იხატებოდა, იმდენი სინაზე და ალტაცება მშვენიერებისადმი იყო ჩაქსოვილი, რომ ქალი უნებლიეთ ჩაეკრა მგოსანს.

მგოსანს გულს მოეშვა.

ხვევნა კოცნის დროს, ტრფობის ალში გახვეულნი, წამსა უმწვერვალესს ნეტარებისას, ისინი არ ივიწყებდნენ, რომ ხმას ვერ გაცემდნენ ერთმანეთს, რომ ერთი სიტყვის თქმა მიჯნურის სიცოცხლეთ იყო დაფასებული.

ყოველ მივარდნილ ადგილსაც-კი როცა ჩრდილში ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, ბუჩქებთა შორის გამოჩნდებოდა ორი პატარა თვალი საჭურისისა.

ხონთქარმა სახლი (მეჩეთი) გეგმათ წაიღებინა.

მგოსანს ათასი სურათი ეხატებოდა გულში, ათასი გრძნობა აწვებოდა ენას. გრძნობათა მორევი თავში ურტყამდა და რადგან ვერაფერს გამოთქვამდა, აწუხებდა, აღონებდა, თავი სტკიოდა, ხელი უცახცახებდა და მოღუშული დადიოდა.

ქალიც მოწყენილი თავს არიდებდა, ეშინოდა მგოსნის. იგი მხოლოდ უვლიდა ხუთს პატარა ბავშს: მუსიკას, პოეზიას, ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას და მხატვრობას.

მაგრამ გრძნობის ტალღებმა გზა გაიკაფა.

შუბლ-მაღალი, დიდ-თვალებიანი, ამაყი გამომეტყველების ვაჟკაცი დადნა, სრულიად დადნა, დაილია და ცრემლად მოედვა ქვეყანას.

ქალი ვაჟისთვის ანთხევს ცრემლს. ვაჟმა იცის, რომ ქალის ცრემლი წყალია და ერთს წვეთში ათას ოქროს ძლევს.

ვაჟი ქალისთვის სტირის. ქალმა იცის, რომ ვაჟის ცრემლი ნაღველ-ნარევი ძმარია და ერთს წვეთში ათასჯერ ათასს ბრილიანტს აძლევს. ერთიბრილიანტი-კი ას ოქროთ ღირს.

ხელოვნება ენაა სიყვარულის გამომთქმელი, მშვენიერების შემკობი. სიყვარული შემაერთებელი ძალაა.

დაბამი დასაბამისა-კი არის მშვენიერება, აღმგზნები სიყვარულისა.

მშვენიერებამ აკრიფა მარგალიტებად ნაქცევი მგოსნის ცრემლები, საკუთარის ამბით აკინძა, გადაკიდა ბავშვს ამბარებით, ყელსაბამურათ და გაქრა ეხლა სხვა მგოსანთან.

ხონთქარს-კი დარჩა: მუსიკა, პოეზია, ქანდაკება, ხუროთ-მოძღვრება და მხატვრობა.

ნ. ლორთქიფანიძე.

ტონის ვაჭრებმა 9 მილიონი ლიანი შესწირეს საზოგადოებას. წელს 210 ათას ჯარის კაცის სახლობის გადასახლებას აპირებენ.

# ოსმალეთი

**ოსმალეთის აკადემია.**

ამ მიმდინარე მარტში სტამბოლში გაიხსნება „ოსმალეთის ლიტერატურული აკადემია“. თუმცა აკადემიას სახელად ლიტერატურულსა ჰქვიან, მაგრამ იგი ამავ დროს სამეცნიერო აკადემიაც იქნება. აკადემიას ეყოლება როგორც არჩეული, ისე დანიშნული წევრები. ჯერ-ჯერობით იგი იქნება აგრეთვე სამწერლო-სამეცნიერო კლუბი, სადაც თავს მოიყრიან უგელა ოსმალელი მწერლები, მხატვრები და მეცნიერები. კლუბში წაიკითხავენ რეფერატებს, მსჯელობას იქონიებენ მწერლობისა და ხელოვნების ნაირ-ნაირ საგნებზე.

**თანაგრძნობა ოსმალეთისადმი.**

„აღმოსავლეთის მეგობართა საზოგადოებამ“ პარიზში დიდი კონფერენცია მოახდინა პოლ დემონელის თავმჯდომარეობით. პოლ დემანელი ცნობილი მოღვაწეა; იგი დეპუტატთა პალატის წევრია ამ ჟამად, და ადრე საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად იყო. კონფერენციამ აღნიშნა სხვა და სხვა ერთა შორის თანხმობის და სოლიდარობის გაძლიერება ოსმალეთში და სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის გაუმჯობესობა, როგორადაც ნაყოფი ფინანსთა მინისტრის ნიჭიერ ჯავად-ბეის სასარგებლო მოღვაწეობისა. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპა მოვალეა ოსმალეთსა და ბოლგარიას თავიდან აცილოს მოსალოდნელი შეტაკებანი.

**არა-მუსულმანი ჯარისკაცები.**

სამხედრო სამინისტროს ცნობით, ოსმალეთის უგელა ვილაეთში წელს არა-მუსულმანებიდან მოგროვდა სულ 50 ათასამდე ახალი ჯარისკაცი. სამინისტროს იმედი აქვს, რომ მომავალში ამ რიცხვს 120 ათასამდე აიყვანს რადგან წელს საოჯახო სიები ცუდადა და უხეიროდ იყო შედგენილი, მის გამო ბევრმა თავი დააღწია სამსახურს. სტამბოლში უკვე შეკრიბეს ახალი ჯარისკაცები.

მეტად სასიამოვნო სანახავი იყო ახალ ჯარისკაცების მისვლა სამხედრო სამინისტროში. ახალგაზრდა ჯარისკაცები აღტაცებით იძახოდნენ: „გაუმარჯოს ჯარისკაცებს, გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს კონსტიტუციას“. აქ ძმურად ერთად მიდიოდნენ ოსმალები, ბოლგარები, ბერძნები, ურიები, სომხები. სამხედრო სამინისტროდან ახალი ჯარისკაცები გაემართნენ რუმელიის რკინის გზის სადგურზედ ხოლო იქ მატარებელში ჩასხდნენ და ადრიანოპოლში წავიდნენ. ათი ათასი კაცი მეტი შეიყარა სადგურზე მათ გასაცილებლად და დიდებული, აღტაცებული ოვაცია გაუმართა მიმავალ ჯარისკაცებს. დედები და დები როდი ტიროდნენ; ისინი ლოცავდნენ თავიანთ შვილებსა და ძმებს. უგელანი გრძნობდნენ, რომ ახალი ჯარისკაცები მარტო ჯარის სამსახურში როდი მიდიოდნენ, ისინი მიდიოდნენ აგრეთვე ოსმალეთის ერთა-გვრებათა შორის თანხმობისა და სოლიდარობის გასაძლიერებლად. („ბ.“)

**ოსმალური სოციალისტური გაზეთი.**

ამ დღეებში სტამბოლში გამოვიდა პირველი ოსმალური სოციალისტური ყოველკვირეული ორგანო „იშტირაკი“ („კავშირი“), ჰუსეინ ჰილმი-ბეის რედაქტორობით. თავის ლოზუნგად ამ ახალმა გაზეთმა აირჩია: „ჩემი ერთ-გვება—კაცობრიობაა, ჩემი სამშობლო—ქვეყნიერობა“. სარედაქციო წერილში ახსნილია, რომ გაზეთის მიზანია ოსმალეთის პროლეტარიატის გონების და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობა და მის ძალთა შეერთება ერთ პროლეტარულ ორგანიზაციად. პროლეტართა ინტერესების დაცვის გარდა, გაზეთი ხელს შეუწყობს ოსმალეთის საწარმოვო ძალთა განვითარებას. გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე წერილები სოციალიზმის მოძღვრებასა და ისტორიაზე. ახალ გაზეთს შემწეობას აძლევენ და მხარს უჭერენ რკინის გზის და სტამბის მუშების პროფესიონალური კავშირები.

# სპარსეთი

**აგიტაცია რუსების წინააღმდეგ.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თავრიზიდან: იქაური ხალხი მეტად აღელვებულია. სათარ-ხანის აგიტაციას რუსების წინააღმდეგ დიდი გასავალი აქვს ხალხში. მოელიან დიდ ამბებს“.

**შახსევნებს პატრონები მოსვლიათ.**

იმავე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება ასტარიდან: „აქ მიიღეს დიდძალი ახალი პატრონა რუსის სამ-ლინიან თოფისა. ასეთი თოფები აქ მხოლოდ შახსევნებს აქვთ. ამბობენ ეს პატრონებიც შახსევნებისთვისაა გამოგზავნილიო. არ იციან საიდანაა გამოგზავნილი ეს პატრონები, მაგრამ ის ხმა-კი, ვითომ ოსმალეთიდანაა მოტანილი ურმიითაო, ტყუილი უნდა იყოს, რადგან ურმიიდან მხოლოდ გერმანულ თოფის ყალიბის პატრონები მოდის, თანაც იქაური პატრონები რუსის სამ-ლინიან თოფს არ ადგება“.

მკითხველს ეცოდინება, რასაკვირველია, რომ შახსევნები რუსეთის საზღვარზე ახლო სცხოვრობენ და დიდი მტრები არიან სპარსეთის ახალ წესწყობილებისა.

**სესხის საქმე.**

თეირანში ცნობილ მდიდარ სპარსელის ნახრ-სალტანეს სახლში მოხდა მსხვილ კაპიტალისტების კრება შინაგან სესხის თაობაზე. დაესწრნენ მინისტრები სეპეხდარი და სარდალ-ასადი. გამოირკვა, რომ შინ, სპარსეთში, მოხერხდება 45 მილიონ მანეთის შოვნა. ნახრ-სალტანემ აქვე ხელი მოაწერა 200,000 მანეთს, სხვებმაც მიჰბაძეს მის მაგალითს და ხელად მილიონ მანეთზე მეტს მიაწერეს ხელი. სესხის კომისიას უკვე ხელთა აქვს 12 მილიონი მანეთი.

რეშტიდან და სხვა მრავალ პროვინციალურ ქალაქიდან მთავრობას და მეჯლისს წინანდებურად აუარებელი საპროტესტო წერილი მოსდის: რუსეთსა და ინგლისისგან არამცა და არამც ფული არ ისესხოთო.

2 მარტს მეჯლისმა მოახდინა მეჯლისის საგანგებო სხდომა და დაადგინა წინადადება მივცეთ სამღვდელოებას ახალ წლის დღესასწაულზე ფულს ნუ დახარჯავს და ეს ფული შინაგან სესხისთვის შესწირონო.

**გარეშე საქმეთა მინისტრის გადადგომა სამსახურიდან.**

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სეპათელ-მულკი სამსახურიდან გადადგა. მიზეზი ამ გადადგომისა ისაა, რომ თავრიზში რუსის ჯარი დაბრუნდა წესიერების აღსადგენად რადგან სათარ-ხანის ფიდაები ხალხსა სცარცვენ და ცუდად იქცევიანო.

# უცხოეთი

**დიუეზის საქმე.**

დეპეშებიდან ეცოდინება მკითხველს, რომ საფრანგეთის პირველ მინისტრის ბრიანის განკარგულებით დაატუსაღეს ვინმე დიუეზი, რომელსაც სხვებთან ერთად. მინდობილი ჰქონდა ჩამორთმეული საკონგრეგაციო (სასულიერო საზოგადოებათა) ქონების ლიკვიდაცია. დიუეზის საქმეს აქვს თავის საკმაოდ გრძელი და საინტერესო ისტორია.

ჯერ კიდევ 1908 წელს მიაქციეს ყურადღება დიუეზის მოქმედებას და უკვე 1909 წლის იანვრის დამდეგსვე ბრიანმა (იმ დროს იუსტიციის მინისტრად იყო) პარიზის მთავარ პროკურორს წერილი მისწერა, ბრალმდებლები მეტად გაუბედავად, რბილად ექცევიან დიუეზს და პასუხის გებას არა სთხოვენო დიუეზს, თუმცა მთელი მისი ანგარიშები და მცოდნე კაცები ჰმოწმობენ მის ურიგობას და მის განმარტების შეუწყნარებლობასო. დიუეზი ამ წერილის შემდეგაც არ დაატუსაღეს. იგი წინანდებურად განაგრძობდა ლიკვიდატორის მოვალეობის ასრულებას, რადგან ბრალმდებელმა გადასწყვიტა, დავაცადოთ, სანამ რიგიან ანგარიშს წარმოადგენსო. დიუეზი ძლიერ აგვიანებდა ანგარიშის წარდგენას იმ საბუთით, რომ მეტად ბევრი მიმდინარე საქმე მაქვს, თანაც ანგარიში მეტად რთულიაო. მაინც დიუეზს ბევრი საქმე ჰქონდა: 13 კონგრეგაცია ჰქონია მინდობილი.

ამასობაში საპარლამენტო წრეებსა და უმთავრესად სენატის კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ლიკვიდატორების კონტროლი, უფრო და უფრო ხშირად იგონებდნენ დიუეზს და მოითხოვდნენ მის პასუხის გებაში მიცემას. ბოლოს და ბოლოს, წარსულ წლის მარტში თითონ დიუეზმა, სუსტ ჯანმთელობის საბუთით, ითხოვა ლიკვიდატორის თანამდებობიდან განთავისუფლება და ამ თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან; ამასთანავე დიუეზს მოსთხოვეს დაწვრილებითი ანგარიში და ახალი ვადა დაუნიშნეს მის წარმოსადგენად, მაგრამ ანგარიშის წარმოდგენა ძლიერ გააჭიანურა დიუეზმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სენატის ხსენებულ კომისიის თავმჯდომარემ ცნობილმა კომბმა წერილით გააფთხილა იუსტიციის მინისტრი ბრიანი: აუცილებლად საჭიროა დიუეზის წინააღმდეგ შესაფერი ღონისძიება მიიღოთო. ბრიანმა უპასუხა კომბს, სასამართლომ ახალი ვადა დაუნიშნა დიუეზს ანგარიშის წარმოსადგენადო, თან დაიმედა, რომ თითონ მას, ბრიანსაც, არ ავიწყდება დიუეზი, რის დასამტკიცებლადაც პირი გაუგზავნა იმ წერილისა, რომელიც 1909 წლის დამდეგს მიეწერა მთავარ პროკურორისთვის. ამასობაში დიუეზის მოადგილეებმა საქმიდან გაიგეს ყველა მისი ოინები და მისი ნამდვილი მტაცებლობა გამოაშკარავეს. დიუეზი მაინც არ აძლევდა ანგარიშს; ბოლოს იგი თითონაც გამოუტყდა თავის წინანდელ ამხანაგებს, რომ ფული შემოხარჯოდა. მას კიდევ მისცეს 21 საათის ვადა გაფლანგულ ფულის შესავსებად, მაგრამ მან ვერ მოახერხა ფულის შოვნა. მაშინ-კი ბრალმდებლის განკარგულებით დიუეზი დაატუსაღეს. ამ საქმემ ფეხზე დააყენა მთელი საფრანგეთი. კლერიკალურმა პრესამ, რაღა თქმა უნდა, ხელზე დაიხვია დიუეზის საქმე, ნამდვილი ივრიში მიიტანა სამინისტროსა და სენატის კომისიის თავმჯდომარეზე—კომბზე და დიუეზის დაფარვა დასწამა მათ. ზემო ნათქვამიდან საკმაოდ ნათლად სჩანს, რომ არც მინისტრო და არც კომბი არა სტყუიან ამ საქმეში, პირიქით ისინი დიდი ხანია მოითხოვდნენ უფრო სასტიკ ღონისძიების მიღებას დიუეზის წინააღმდეგ. ეგაა სასამართლოს და პროკურორის მოქმედება-კი სწორედ რომ გასაოცარია. საზოგადოება მკაცრად ჰგმობს მათ სიმძიმესა, გულგრილობას და დაუდევრობას და მოითხოვს, რომ მათ უცნაურ მოქმედების თაობაზეც დაინიშნოს გამოძიება.

სენატის კომისიის ანგარიშით დიუეზს გაუფლანგავს 10 მილიონი ფრანკი. დიუეზის „საგმირო საქმეებზე“ ეხლა ბევრს ლაპარაკობენ. ამბობენ, მაგალითად, რომ მან ერთს რუსსაც დააძრო 500,000 ფრანკი.

დიუეზს საფრანგეთის კანონის ძალით მოელის დაპატიმრება 5-დან 10 წლამდე.

**ინგლისში.**

ინგლისის დეპუტატთა პალატაში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს მოხდა შემდეგი უცნაური ინციდენტი.

მუშათა პარტიამ მოითხოვა, რომ მუშებს არსენლებში ხელფასი მოემატოთ. სამხედრო მინისტრი ჰოლდენი დასთანხმდა, რომ სამხედრო უწყებამ დიაღაც სამაგალითოდ უნდა მოაწყოს მუშების მდგომარეობა და დაჰპირდა, პირუთვნელად გავსინჯავ მუშების საჩივარსაო. მაგრამ მუშათა პარტიის მეთაურმა ბარნესმა განაცხადა, მინისტრის დაპირება არ მაკმაყოფილებსო. ბალფურის მოადგილემ კონსერვატორების მეთაურმა უაინდჰემმა მხარი არ დაუჭირა მუშების მოთხოვნას. ეგაა შემდეგ კამათის დროს გამოირკვა, რომ ბევრი კონსერვატორი დეპუტატი არ ეთანხმებოდა უაინდჰემის ხელმძღვანელობას და ხმის მუშების მოთხოვნის სასარგებლოდ მისცემდა. მაშინ მუშებმა დაინახვეს, რომ მთავრობას განსაცდელი მოელოდა, და უარი სთქვეს თავიანთ მოთხოვნის კენჭის ყრაზე. მაგრამ კონსერვატორების სურვილით კენჭის ყრა მაინც მოხდა. კონსერვატორების უმეტესობამ მუშების მოთხოვნის სასარგებლოდ მისცა ხმა, ხოლო თითონ მუშებმა მონაწილეობა არ მიიღეს კენჭის ყრაში. ამიტომ მოთხოვნა უარყოფილ იქმნა.

# თეატრი და ხელოვნება

**ტფილისის დასის მოგზაურობა პროვინციაში.** 9 მარტიდან დაიწყებს მოგზაურობას „ამხანაგობა ტფილისის დრამატიულ დასისა“. დასში შედიან: ქ-ნნი მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. რიონელი, პ. შოთაძე, ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ნ. გვარაძე, ვ. ურუშაძე, ი. ქავიძე, ვ. მატარაძე, ბ. ბეგლარიძე, ი. გრიშაშვილი, რეპერტუარი: „ურიელ აკოსტა“, „ჰამლეტი“, „ბედს ვერ წაუხვალ“, „სიკვდილი ნაპოლეონისა“, „ტაიჩი სოვეტნიკის სიზმარი“, „შავი ბერი“. დასი წარმოდგენებს გამართავს ყვირილაში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ბათუმში, სოხუმში და ფოთში.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ გაზეთ „დროებაში“. ახალციხის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ 5 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდან შემოსული 175 მ. 78 კ. კომიტეტმა უკვე მიიღო წარმოდგენის გამგის ქ-ნ ქეთევან კანდელაკისაგან, რისთვისაც სამკითხველოს გამგეობა გულწრფელ მადლობას უცხადებს, როგორც ქ-ნ კანდელაკისას, ისე იმ პირთ, ვინც ხელი შეუწყო წარმოდგენის დადგმას თამაშობით, ფულით თუ სხვა დახმარებით.

ამასთან მადლობას ვუცხადებთ იმ პირთაც, რომელთაც კეთილი ინებეს და თავიანთ ხარჯით ბიბლიოთეკას გამოუწერეს მდგომარე 1910 წ. ჟურნალ-გაზეთები, სახელდობრ: ბ-ნმა ექიმმა ივანე ასათიანმა გამოუწერა „ზაპროსი ჟიზნი“ და „განათლება“, ქ-ნმა თამარ გვარამაძისამ—„ბირჟევია ვედომოსტი“, გაბრიელ მღებრიშვილმა—„ჯეჯილი“ და პროვიზორმა იოსებ მაისურაძემ შემოსწირა სამი მანეთი ფულად.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართულ გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

სამკითხველოს წევრთა მინდობილებით ხაზინადარი **როზა ალელიშვილისა.**

---

გთხოვთ დაბეჭდოთ ანგარიში „ისტორიულ საღამოსი“, რომელიც „განათლების“ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა 29 დეკემბერს 1909 წელს „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში.

შემოვიდა გაყიდულ ბილეთებიდან 991 მ., ბუფეტიდან, ყვავილების, შამპანიურისა, პროგრამებისა—224 მ. 5 კ., პრემიისა—114 მ. 91 კ. სულ—1329 მ. 96 კაპ.

დაიხარჯა: დარბაზის ქირა—211 მ. 5 კაპ., სურათების დასადგმელად და დეკორაციის დახატვა 151 მ. 72 კ., მუსიკა, საზანდარი, ცეკვა 102 მ., მარკები—32 მან., აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა, გაზეთებში განცხადებები და სხვა—47 მან. 15 კ., ბუფეტისა, შამპანიური—55 მ. 8 კაპ., ტანისამოსი და პარიკმახერი—67 მ. 35 კ., ქეტონები და პრიზები—42 მ. 80 კ., წვრილი ხარჯი—21 მ. 81 კ. სულ—729 მ. 96 კ. დარჩა წმინდა—600 მან.

გულითად მადლობას ვუძღვნი შემდეგ პირებს, რომელთაც ფული შემოსწირეს და დახმარება აღმოუჩინეს: გრ. ვ. დ. ვორონცოვისას, კნ. ა. გ. ამილახვრისას, კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისას, კნ. ს. ი. მელიქიშვილისას, კ. ე. ფითოევს, ინჟ. ვ. გ. ჩხეიძეს და სხ. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე მხატვარს მ. ი. თოიძეს, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას და ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა „საღამოს“ გამართვაში და პატივი სცა დასწრებით.

„საღამოს“ დიასახლისი **კნ. ვ. ა. ჭავჭავაძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ კულაშის საზოგადოებისაგან კნ. პელაგია მიქელაძისას, რომელიც გულწრფელადა და მთელი თავის ძალღონით დღემდის ემსახურა კულაშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. დღეს კი მეტად მოღლილმა და ისედაც შეუძლო ადამიანმა გამგედ დარჩენაზე უარი განაცხადა და, აღუთქვა რა საზოგადოებას ჩვეულებრივის გულწრფელობით შრუნვა სამკითხველოს საკეთილ-დღეოდ, სთხოვა მას (საზოგადოებას), აირჩიოს ბიბლიოთეკის გამგეთ სხვა ვინმე. კრებამ მოისმინა კნ. პელაგია გიორგის ასულის განცხადება, დიდი მადლობა გამოუცხადა ამდენ ხნის ერთგულ მუშაობისათვის და აირჩია ახალი გამგე.

კულაშის საზოგადოების მონდობილობით **ვარლამ ძიძიგური.**

---

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ 12 იანვარს ქუთაისში გამართულ საღამოს ანგარიშს.

შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით —567 მ. შამპანიურის გაყიდვით 17 მ., ჩაის, ხილეულის, ყვავილების, წერილებისა და სხვა წვრილმანების გაყიდვით 59 მ. 89 კ., ბუფეტიდან 37 მ. 85 კ., საღამოდან დარჩენილ ნივთების გაყიდვით 4 მ. 50 კ., საღამოდან დარჩენილ მარკების გაყიდვით 19 მ. 70 კ. ფულად შემოსწირეს: იმერეთის ეპისკოპოსმა 5 მ., სენატორმა ვიტაციმ 25 მ., ვიცე-გუბერნატორმა ა. ა. მაკაროვმა 5 მ., უგანათლებულესმა კნეინამ 6. ბაგრატიონისამ 10 მ., ოლქის სასამართლოს პროკურორმა გ. ა. ოკიშერმა 5 მ., ექიმმა ა. ტოპოროვმა 3 მ., ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა მ. ვ. ყლუშაკოვმა 3 მ., მსახიობმა მ. ჯანოევმა 2 მ., ი. ზ. გველესიანმა 3 მ., ძმ. გოკიელოვების სავაჭრო სახლმა 2 მ., ოლდენბურგის პრინცის ქარხანამ 6 ბოთლი შამპანიური. სულ 768 მან. 94 კ.

დაიხარჯა: საზოგადო საკრებულოს ქირა 100 მ., საკრებულოს მოსამსახურეებს 10 მ., ბ-ნ ვოლკს მიეცა ორს ნივთში 60 მ., მარკები 50 მ., აფიშების დაბეჭდვა 15 მ. აფიშების გაკვრა 3 მ., კამფეტების ყიდვა 10 მ., მეზურნეებს მიეცა 5 მ., ნოხების ქირა 5 მ., ხილეულობა და ყვავილები 6 მ., სატკიცინებელი (хлопушки) 6 მ. 65 კ., მემუსიკეების ვახშამი 13 მ. 70 კ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 14 მ. 37 კ. სულ 308 მან. 72 კ.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, რომელთაც ფულის შემოწირვით თუ სხვაგვარ დახმარებით ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე გორის რაზმის უფროსს გერასიმოვს სამხედრო მუსიკის უფასოდ დათმობისათვის და საპიორის რაზმის უფროსს ფიდაროვს მუსიკის დაკლებულ ფასში დათმობისათვის.

წმინდა შემოსავალი 460 მ. 22 კ. 27 თებერვალს გადაეცა საზოგადოების კომიტეტს ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთათვის დასარიგებლად.

საღამოს გამგე **ე. ნ. ხერხეულიძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე-47 ნომერში გორელ კორესპონდენტს შეცდომით მოუთავსებია ცნობა, ვითომ გორის ვაჟთა პროგიმნაზიაში გამართული კონცერტი ამავე პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ყოფილიყოს.

მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გაცნობოთ, რომ კონცერტი გამართეს ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. გთხოვთ ეს ცნობა მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ინსპექტორი **მ. ზაალიშვილი.**


## ვაჭრების საყურადღებოდ

ამით ვაუწყებთ პატივცემულ ვაჭრებს, რომ ტფილისში, შუა ბაზარში (სომხის ბაზარი) ჯმუხაძის ქარვასლაში ამა 1910 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გავხსენით

## საკომისიონერო კანტორა.

ვკისრულობთ საქონლის გაგზავნას სხვა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე რკინის გზის სადგურიდან გადატანას, გვაქვს აბრეშუმის თესლი სხვა და სხვა საუკეთესო ფირმებისა. აქვე არის სუფთად მოწყობილი ოთახები პროვინციიდან მოსულ ვაჭრებისთვის, არის ბუფეტიც, სადაც მზადდება ყოველ-ნაირი საჭმელი.

(3—170—2) პატივისცემით **პ. ი. რატიანი და ამხ.**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წ. ყოველ კვირეულ სურათებიან რუსულ გაზეთ**

## „სტამბულსკია ნოვოსტი“-ზე

(Стамбульскія новости)

გაზეთი გამოდის სტამბოლში. „სტამბულსკია ნოვოსტი“ ერთად-ერთი გაზეთია, რომელიც ოსმალეთში რუსულ ენაზე იბეჭდება.

**ხელის მოწერის ფასი:**

| | ოსმალეთში | რუსეთში და საზღვარგარეთ |
|---|---|---|
| 1 წლით . . | 80 პსტ. | 8 მან. |
| 6 თვით . . | 40 პსტ. | 4 მან. |
| 3 თვით . . | 25 პსტ. | 2 მ. 50 კაპ. |

**ადრესი**: Pèra, rue agna Hamam № 35 (Турція) Constantinople.

(5—4) მთავარი რედაქტორი **ჯელალედ-კარკმასი.**

## სოლოლაკში

## აზოვის ბანკის ქვეშ, „პროვოდნიკის“ ამხ.-ის გვერდით

## ივ. გრ. კაჭკაჭევის

## ახალ სამანუფაქტურო მაღაზიაში

მოვიდა ახალი ტრანსპორტი საქონლისა. რადგან ფირმას არა სურს დარჩეს ძველი საქონელი და რადგან უნდა, რომ მუშტარს მიაწოდოს ახალ სურათებიანი საქონელი, სეზონისთვის დაინიშნა

## იაფობა

## მხოლოდ ექვსი დღით

## 5, და 6 მარტს

აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს და ბამბაზიის ქსოვილი და აგრეთვე საბნები, ზეწრები, იუბკები, წინსაფარები, ხელსახოცები, შარვლები და მრავალი სხვა საქონელი მართლა იაფ-ფასად.

**შევაჭრება არ შეიძლება.**

## იაფობა

(5—გაჟ.—5)